

კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარება საქართველოში

განხორციელების ვადა: 09.11.2020 - 08.11.2022

EaP ქვეყნები:

Georgia

ევროკავშირის € 1 299 332

წვლილი:

მთლიანი € 1 300 000

ბიუჯეტი:

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

Federal Ministry of Digital and Economic Affairs of Austria (BMDW), National Cyber Security Centre at the Ministry of National Defence of Lithuania (NCSC)



Funded by the
European Union

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

facebook.com/cybersecgeorgia

პროექტის აღწერა:

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარება საქართველოში“ მიზნად ისახავს კიბერუსაფრთხოებისა და კიბერთავდასხმების მიმართ საქართველოს მზაობისა და მდგრადობის განმტკიცებას კიბერუსაფრთხოების ჩარჩოების შექმნისა და ქართველი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარების გზით, ევროკავშირის მიდგომის, სტანდარტებისა და შესაბამისი სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს შესაბამისად, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ „ქსელისა და ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების შესახებ“ ევროდირექტივით.

პროექტი უშუალოდ დაეხმარება ბენეფიციარებს კიბერუსაფრთხოების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესებით, პერსონალის კომპეტენციების გაძლიერებით, მჭიდრო საერთაშორისო და ეროვნული თანამშრომლობის, საფრთხის შემცველი ინფორმაციის გაცვლის პლატფორმებისა და დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საინფორმაციო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და შესაძლებლობების განვითარებაში.

მოსალოდნელი შედეგები:

1. კიბერ უსაფრთხოების მართვის ეროვნული ინსტიტუციური მოდელის გაძლიერება

- ევროკავშირის სტანდარტებისა და NIS დირექტივასთან დაახლოებისათვის საქართველოს კიბერ უსაფრთხოების კანონმდებლობის გადახედვა;
- კიბერ მმართველობის ძლიერი სისტემის განვითარება და მხარდაჭერა.

2. იურიდიული, ოპერატიული და ტექნიკური ჩარჩოების შემუშავება, რაც კრიტიკული ინფორმაციული ინფრასტრუქტურისა (CIIP) და აუცილებელი მომსახურების ოპერატორების (OES) NIS დირექტივის შესაბამისად დაცვის შესაძლებლობას იძლევა

- საქართველოს შესაძლებლობების გაუმჯობესება კიბერუსაფრთხოების ინციდენტების მართვაში;
- კიბერ შესაძლებლობების და კიბერ სამუშაო ძალის გაძლიერება.

3. კიბერ უსაფრთხოების სახელმწიფო ორგანოების და სხვა დაინტერესებული მხარეების საოპერაციო კიბერთან დაკავშირებული უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერება

- კიბერკულტურისა და ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერა.